ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47211592**
თარიღი:**08/06/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი 6

***დ. ჩოხატაური* 28 მაისი, 2021 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, მაია პაიჭაძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: დავით გუდავაძე, გიორგი რამიშვილი, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ბექა გამდლიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგლაძე- საფინანსო სამსახურის უფროსი.

ქეთევან გიორგაძე - ა(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ დირექტორი

ნინო დოლიძე - სამუსიკო სკოლის მენეჯერი

მზია კვინტრაძე - სამხატვრო სკოლის მენეჯერი

შორენა კეკელიძე - მოსწავლე ახალგაზრდობის მენეჯერი

ეკა კუკულავა - ა(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ ბუღალტერი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ბერძენიშვილმა, ქეთევან სიხარულიძემ, ზვიად წეროძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

I საკითხი:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ირაკლი ახობაძემ** მე ხმას არ ვაძლევ ამ ბიუჯეტის ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას იმის გამო, რომ ჩემი დათვლით მერიას შრომის ანაზღაურების მუხლში აკლია 400,0ათასი ლარი.

მაია გოგოლაძემ - ბატონო ირაკლი თქვენი ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება, მერიას სახელფასო მუხლში არ აკლია 400,0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 1 (ირაკლი ახობაძემ.)

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

II საკითხი:

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის

დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ირაკლი ახობაძემ** პროექტში წერია, რომ უნდა შეირჩეს კოორდინატორები. მაინტერესებს? მაინტერესებს კოორდინატორები ანაზღაურებადია თუ არა?

მაია პაიჭაძემ კოორდინატორები იქნებიან საზოგადოებრივ საწყისებზე, ანუ მათ ხელფასი არ ექნებათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:
„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

III საკითხი:

3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მოისმინეს:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ვლადიმერ სიხარულიძემ** აღმიშნა, რომ საკითხის განხილვისას ყურადღება გამახვილდა: პირველი სამუსიკო სკოლას ესაჭიროება როიალი. ამიტომ ეთხოვოს მერიას საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში სამუსიკო სკოლას გამოეყოს 40, 0 ათასი ლარი როიალის შესაძენათ. მეორე რეაბილიტაციას საჭიროებს სამხატრო სკოლა, რომლისთვისაც 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას 150,0ათასი ლარი.

ირაკლი ახობაძე, როიალის შესაძენი თანხა, რომელი ფონდიდან უნდა გამოიყოს ? თქვენ ბატონო ვლადიმერ ახსენეთ ასიგნებები?

ვლადიმერ სიხარულიძე ჩვენ პროექტში ჩავწერეთ საბიუჯეტო ასიგნებები, მაგრამ არის სხვა

ვარიანტიც, თუ კი აიპის ბიუჯეტში მოიძებნება 40,0ათასი ლარი მოხდეს ამ თანხით როიალის შეძენა წლის ბოლოს დაუზუსტებთ ბიუჯეტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლიდან დღემდე ახალი კორონა ვისურის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის ცნობად მიღებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, მაია კუტუბიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა განცხადებით რომელმაც საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „საიას“ ოზურგეთის ოფისისა და გარემოს დაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში ბახვი 1 ჰესის სკოპინგის ანგარიშის დამატების წარდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნები, 35 გვერდიანი დოკუმენტი. ჩვენთვის უცნობია, გააგზავნა თუ არა მერიამ თავისი მოსაზრება.

მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა შექმნილი დაბა ბახმაროს ტერიორიაზე უნებართვო მშენებლობის კუთხით, ჩვენს წერილზე მერის პასუხი მინდა გაგაცნოთ, რომლის მიხედვითაც 2020 წლის მდგომარეობით გამოვლენილია მხოლოდ 236 სამართალდარღვევის ფაქტი, აქედან იდენტიფიცირებულია მხოლოდ 37 მოქალაქე და 8 მათგანზეა გამოცემული დადგენილება დაჯარიმების შესახებ. აქედან 2 ჯარიმაა გადაგზავნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ხოლო 199 დაუდგენელი პირის მიერ განხორციელებული უნებართვო მშენებლობის ფაქტზე მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული იქნა დემონტაჟის დადგენილება.

მინდა მოგახსენოთ, რომ ბახმაროს ტერიტორიაზე იქნება უნებართვოდ აშენებილი, დაახლოებით 1400 სახლი მაინც. ასევე, ძალიან გასაკვირია იდენტიფიცირების საკითხი, მუშაობს ადამიანები მშენებლობაზე და არ იციან ვის უშენებენ?!

როდესაც შეიქმნა ბახმაროს განაშენიანების გეგმა, ხომ შეიძლებოდა გამოყოფილიყო მიწის ნაკვეთები და მომხდარიყო მათი კანონიერი შესყიდვა დაინტერესებული პირების მიერ, აგარაკების მშენებლობისთვის, რითაც ბიუჯეტიც მიიღება შემოსავლებს და კანონის აღსრულებაც მოხდებოდა.

საინტერესოა, მართლა მოხდება თუ არა ამ 199 სახლის დემონტაჟი, რაც ნამდვილად ახდის ფარდას სინამდვილეს.

ჩნდება უამრავი კითხვა კერძოდ:

როგორ მოახერხა ამ ადამიანებმა სახლების მშენებლობა? რატომ არ მიიღო მერიამ შესაბამისი ზომები თავიდანვე, ან მათ მიერ გატარებული უშედეგო ღონისძიებების შემდეგ თუ მიმაართეს შესაბამის ორგანოებს დახმარებისთვის? ვიქრობთ, რომ აუცილებელია საკრებულო ფლობდეს მეტ ინფორმაციას აღნიშნულ საკთხზე.

ზაალ მამალაძე - საკრებულოს გთავაზობთ შემდეგ მოსაზრებას, დაევალოს შესაბამის კომისიას ორგანიზება გაუწიოს გაფართოვებულ მოსმენას ბახმაროს საკითხზე.მოიწვიოს შესაბამისი სამსახურები, მათ შორის ზედამხედველობის სამსახური და მიიროს ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი